

ბიულეტენი Newsletter

პროექტი: საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის
კომიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის
ერთობლივი კონკურსი სტუდენტებისთვის

Project: Competition for Youth under the aegis of the Parliamentary
Committee on European Integration of Georgia and the Institute *for* European
Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University



საქართველოს პარლამენტი



The European Union
for Georgia

პროექტი განხორციელდა ევროკავშირის მხარდაჭერით
“ევროკავშირი საქართველოსთვის - ფაზა II” ფარგლებში.
ევროკავშირი პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემულ
ინფორმაციასა და შეხედულებებზე. პუბლიკაციაში მოცემული
თითოეული სტატია გამოხატავს მხოლოდ ავტორის მოსაზრებებს”.

სარედაქციო კოლეგია:

თეიმურაზ ჩიტაია

მარიამ ქველაძე

მთავარი რედაქტორი:

ნინო ლაპიაშვილი

თბილისი 2020

The Project has been implemented with the support of the European Union within the frames of “EU for Georgia - phase II.” The contents of this publication are the sole responsibility of the authors and can no way be taken to reflect the views of European Union.

Board of Editors:

Teimuraz Chitaia

Mariam Kveladze

Editor in Chief:

Nino Lapiashvili

Tbilisi 2020

ევროპის დღეები და ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან 6 წლის იუბილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, კოვიდ პანდემიის პირობებში



დავით სონღულაშვილი
საქართველოს პარლამენტის
ევროპასთან ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარე.

David Songhulashvili
Chairman of the European
Integration Committee of the
Parliament of Georgia

27 ივნისს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან 6 წელი გავიდა. საქართველოს ევროპული მომავლის განმსაზღვრელი ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის იმპლემენტაციის გზაზე გვქონდა ბევრი მიღწევა და რჩევა გამოწვევებიც.

მიმაჩნია, რომ პანდემიამ და სოციალურმა დისტანცირებამ ევროინტეგრაციის პროცესი არ უნდა დააზარალოს. ამდენად, ევროპის კვირეულის ტრადიციულად საზეიმოდ აღნიშვნის ფარგლებში, ევროინტეგრაციის კომიტეტმა ევროკავშირის დელეგაციის და სხვა პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაგეგმა და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებაში ევროინტეგრაციული პროცესების პოპულარიზაციას შეეხებოდა.

მოხარულები ვართ, რომ ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი პროექტი მოიცავდა ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას კომიტეტის საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობაში, რაც ჩვენი კომიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტთან და მის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, გამოვაცხადეთ ესეების და კვლევითი პროექტის კონკურსი თემაზე “ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოზე”, “პანდემიის ეფექტები ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობებზე” და “დეზინფორმაცია და ანტი-დასავლური პროპაგანდა.” სიმბოლურად პროექტი ევროპის დღეების კვირეულის დასაწყისში, შუმანის დეკლარაციის გამოცხადების დღეს - 9 მაისს დაიწყო.

ამ ჟესტით გვინდოდა ევროპის დღე მიგველოცა პირველ რიგში, ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და პარტნიორებისთვის, ასევე საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის. ევროპის

Celebrating Europe Days and 6 years since Association Agreement together with the students of Tbilisi State University, amidst the Covid pandemic

This year on June 27th we proudly celebrated the 6 years anniversary since the signature of the EU-Georgia Association Agreement. The road that was leading us towards the implementation of this very important instrument, that signifies Georgia's European future, was challenging as well as rewarding at the same time. We embraced wholeheartedly every bit of our achievements, while recognising the still-existing gaps and identified the set of further steps to be undertaken as the means to our common ends.

Having said that, I would like to share my strong belief, which reveals the process of Georgia's approximation with the European Union as a 'business as usual' that should not be compromised under any circumstances, including during pandemic. This was the reason we did not surrender to the unavoidable lock-down and the social distancing measures, as necessitated by the COVID-19. Instead, we started to think 'out of box' and proposed the changed methodology for organising the awareness-raising campaign, which already for many past years used to be traditionally planned within the frames of the chain of events dedicated to the Europe Day celebration.

With the support of the EU Delegation to Georgia and other donor organisations, our ideas and dedication became a tangible reality, we managed to launch and implement successfully a very impressive activities aimed at increasing the knowledge of Georgian society at large on the numerous aspects of the EU-Georgia cooperation.

We are happy to state that among many projects that we have undertaken during this period, the one with Ivane Javakhishvili Tbilisi State University and its Institute for European Studies aimed at increasing the involvement of youth in the enlightenment on EU as well as the awareness-raising activities of the Parliamentary Committee - was outstanding indeed. Not to say that it facilitated the implementation of important parts of the Committee Strategy and the Action Plan.

On the bases of the Memorandum of Understanding between the Parliamentary Committee and the Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, and with the support of the EU Delegation of Georgia, we decided to announce the students' competition for the MA students and the PhD candidates enrolled in the TSU European Studies' programmes. This contest later on was extended to the students of all other TSU faculties including those participating in international exchange and Erasmus+ schemes. The impact of the Association Agreement on Georgia, the EU-Georgia relationship during Covid-19 pandemic as well as the Disinformation and Anti-Western Propaganda - were those pre-selected three main topics out of which the registered participants could choose one and submit their essays and action plans to the special

დღე ჩვენი ქვეყნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი თარიღია, რადგან ეს დღე საზეიმოა იმ ქვეყნების იმ გაერთიანებისათვის, რომლის სრულყოფილებიანი წევრობა ჩვენთვის დღეს განვითარებისა და წინსვლის მთავარი ორიენტირია. დიახ, ჩვენმა საზოგადოებამ არაერთხელ გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება ევროკავშირთან დაახლოების მიმართ. მოსახლეობის დიდი ნაწილი ემხრობა ამ არჩევანს და ეს ყველასთვის ცნობილია. ამასთან, ევროკავშირმა, როგორც გაერთიანებამ და მისმა ცალკეულმა წევრებმაც, მათ მიერ გამოჩენილი მხარდაჭერისა და უამრავი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების გზით, არაერთხელ დაამტკიცეს, რომ ევროკავშირი საქართველოს დემოკრატიული განვითარების გარანტია.

რაც შეეხება პროექტს, ჩვენმა ინიციატივამ ახალგაზრდებში დიდი ინტერესი გამოიწვია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტიდან ასამდე სტუდენტი დარეგისტრირდა. პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის თემატიკის ირგვლივ კონკურსის მონაწილეებს ონლაინ ლექციები ჩაუტარდათ. მათ, ასევე, ჰქონდათ შესაძლებლობა ვებინარების ფორმატში შეხვედროდნენ ევროინტეგრაციის პროცესში უშუალოდ ჩართულ საჯარო მოხელეებს და მათგან მიეღოთ განახლებული ინფორმაცია. პროექტი დაეხმარა სტუდენტებს ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ თვალსაწიერის გაფართოებაში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენასა და პანდემიით გამოწვეულ გარემოებებთან უკეთ გამკლავებაში.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცათ სერთიფიკატები, ხოლო გამარჯვებული ესეს ავტორებისა და საუკეთესო კვლევითი პროექტების წარმომადგენი 4 სტუდენტისგან დაკომპლექტებული გუნდებისთვის ფულადი ჯილდო იყო გათვალისწინებული. საზეიმო ღონისძიება საქართველოს პარლამენტში გაიმართა 27 ივნისს, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის იუბილეზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ევროპის დღეებს და ასოცირების ისტორიული შეთანხმების ხელმოწერის 6 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და წინსვლას. აქვე, მადლობას ვუხდით ევროკავშირს, რომ ამ დროული და საჭირო პროექტის იმპლემენტაცია შესაძლებელი გახდა.

jury committee. We were proud to launch the competition on May 9th, the Schuman Declaration Day.

With this symbolic gesture we wanted to congratulate Europe Day to our colleagues and partners in the European Union as well as in Georgia. Europe Day is equally important for the Georgian population at large, we are very enthusiastic to celebrate it, as we strongly believe in the European Union to stand as a key milestone for our relentless progress and democratic development. Indeed, the Georgian society had the opportunity to express on many occasions its strong willingness to become a member of the European Union and to adhere to its values.

To go back to the youth project, we were extremely eager to trace the imminent and enkindled interest for participation in the contest, making the overall number up to 100 students coming across the various faculties of Tbilisi State University. Within the frames of the project we organised for them online courses related to the topic of European Union, provided the practical trainings in research skills as well as gave an opportunity to meet, greet and get the updated information from the public officials responsible for overseeing the implementation of Association Agreement and approximation of Georgia with the EU standards.

Overall, this was an important and invaluable initiative due its definitely strong knowledge dissemination and cross-fertilisation impact upon the various segments of students who otherwise would never come across with the EU thematic; and also because of the ameliorating nature it definitely had upon the negative effects brought with COVID-19 pandemic: we had a very strong evidence that social distancing measures became especially difficult for the youth of our society. This project gave a chance to stay proactive and engaged even during the lock-down period. The wrap-up event which was expressed in the certificates' awarding ceremony on the day of signature of AA on the 27th of June as organised in the building of the Parliament of Georgia was very cheerful and at the same time motivating for all of us.

Let me once again congratulate everyone who celebrates Europe Days and the 6 years since the signature of EU-Georgia Association Agreement. Herewith, I would like to extend my sincere gratitude to the European Union and its Delegation to Georgia for supporting this absolutely fascinating and timely initiative.



საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის შესახებ

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ისტორიულად უპრეცედენტო დინამიკით ხასიათდება.

2014 წლის 27 ივნისს, ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითად სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და მრავალი მიმართულებით ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოდერნიზაციასა და ტრანსფორმაციას ითვალისწინებს.

ასოცირების შეთანხმების ეფექტიან განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარების, ევროპული კუთვნილების გამყარების, ევროინტეგრაციის პროცესის შეუქცევადობისა და ევროპელი პარტნიორების მხრიდან საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერისათვის. შეთანხმების აღსრულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისითაც.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს, რომელიც 2004 წელს შეიქმნა. კომიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში, ამ მიმართულებით მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკის განსაზღვრაში, ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელ ხელისუფლების საქმიანობას და აკონტროლოს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესი.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი კოორდინაციას უწევს საპარლამენტო საქმიანობას ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით, მათ შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესრულებას საკანონმდებლო საქმიანობის პროცესში.

კომიტეტი უძღვება საკანონმდებლო პარამონიზაციის პროცესს, შეიმუშავებს დაგანიხილავს საკანონმდებლო ინიციატივებს, ზედამხედველობას უწევს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას, თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის - დარგობრივ კომიტეტებთან, ევროკავშირის ინსტიტუტებთან, პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებთან, საერთაშორისო-ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ხელს უწყობს საზოგადოებაში ევროინტეგრაციის პოპულარიზაციას.

საქართველოს პარლამენტში ევროპული მიმართულების გაძლიერებისა და განვითარების, აგრეთვე, ევრო-ინტეგრაციის პროცესის პოპულარიზაციის მიზნით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობაა.

კომიტეტი პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მრავალი წელია აღნიშნავს ევროპის კვირეულს, რომლის

Review of the role of the Committee on European Integration of Georgia

თეიმურაზ ჩიტაია

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პროექტის ფარგლებში ლექციის თანა-ავტორი, პროექტის ჟიურის წევრი საქართველოს პარლამენტის მხრიდან.

Teimuraz Chitaia

Acting Head of the Office at the Committee on European Integration of the Parliament of Georgia, Co-Author of the online lecture of the Project from the Parliament of Georgia, Member of Juree of the Project from the Parliament of Georgia



ნატო რუბანოვი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის მოწვეული სპეციალისტი, პროექტის ფარგლებში ლექციის თანა-ავტორი.

Nato Rubanovi

Invited Specialist of the Office at the Committee on European Integration of the Parliament of Georgia, Co-Author of the online lecture of the Project from the Parliament of Georgia



During recent years, EU-Georgia relations have characterized by historically unprecedented dynamics.

On June 27, 2014, EU-Georgia Association Agreement was signed, which serves as a legal basis for the relations between Georgia and the EU and provides for modernization and transformation in many areas in line with the European standards.

Effective implementation of the Association Agreement is of great importance for the development of the country, strengthening feelings of belongingness to Europe, the irreversibility of the European integration process, and political support from European partners. Enforcement of the Agreement is particularly important in terms of defending sovereignty and territorial integrity of the country.

The Committee on European Integration of the Parliament of Georgia, established in 2004, has a particular role in bringing Georgia closer to the EU. The mission of the Committee is to promote Georgia's integration into the European Union and European institutions, to participate in the determination of the country's policy in this regard, to oversee the activities of the executive, and to monitor the implementation of its obligations under the Association Agreement.

The parliamentary Committee on European Integration coordinates parliamentary activities related to the European integration process, including the implementation of the Association Agreement and Association Agenda in the legislative process.

The Committee leads the legislative harmonization process, develops and discusses legislative initiatives, oversees the activities

მიზანიც არის საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება ევროპული ინტეგრაციის შესახებ და ამ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის მაქსიმალური ხელშეწყობა.

Covid-19-ის გავრცელებისა დაქვეყანაში არსებული საგანგებო ვითარებისგამო, ევროპის დღეები წელს განსხვავებულად აღინიშნა და საინფორმაციო კამპანია მთლიანად დისტანციურ რეჟიმში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზით ჩატარდა.

კამპანიის ფარგლებში დაორგანიზდა არაერთი კონკურსი როგორც უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ისე სკოლის მოსწავლეებისთვის; ასევე, - ახალგაზრდებისთვის ონლაინ ლექციები თემაზე “ასოცირების 6 წელი საქართველოსთვის”. მათ შორის, უნდა აღინიშნოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თსუ-ს ევროპული კვლევის ინსტიტუტისა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ერთობლივი წარმატებული პროექტი **“Competition for Youth under the aegis of the Parliamentary Committee on European Integration of Georgia and Ivane Javakhishvili Tbilisi State University”/European Union for Georgia 2.**

კამპანია მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ინფორმირებასა და მათი ევროინტეგრაციის საკითხებით დაინტერესებას და ჩართულობას.

ვფიქრობთ, საინფორმაციო კამპანიის ორგანიზებისას დასახულ მიზანს მივაღწიეთ, რადგან ახალგაზრდების მხრიდან იყო ძალიან დიდი გამოხმაურება. კონკურსის ფარგლებში გავეცანი უამრავ საინტერესო ნაშრომს, გამოვავლინეთ გამარჯვებულები და მათი ნამუშევრები გამოქვეყნდა.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომიტეტის საქმიანობის საჯაროობასა და გამჭვირვალობას. კომიტეტის კარი ღიაა საზოგადოებისთვის – სტუდენტების, ექსპერტების და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტთან ხელი მოეწერა განახლებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს კომიტეტისა და თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის საკანონმდებლო და საკონსულტაციო პოტენციალის აქტიურ და ორივე მხარისათვის სასარგებლო გამოყენებას საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმის ფარგლებში კომიტეტი ევროპული კვლევების ინსტიტუტს გაუწევს ექსპერტულ მხარდაჭერას ბაკალავრების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებაში, შესთავაზებს სტაჟირების შესაძლებლობას, ასევე, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში თანამშრომლებს ინსტიტუტის მკვლევართან და აკადემიურ პერსონალთან.

ვფიქრობ, რომ კომიტეტის საქმიანობაში სტუდენტთა და მკვლევართა სხვადასხვა ფორმით ჩართვა ხელს შეუწყობს როგორც კომიტეტის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით შესრულებას და ევროინტეგრაციის პროცესების პოპულარიზებას, ასევე, სტუდენტებისთვის გამოცდილების

of the bodies accountable to the Government and Parliament, cooperates with the sectoral committees of the Parliament of Georgia, European institutions, parliaments of the partner countries, international organizations, civil society, and promotes European integration within the population.

For the purpose of strengthening and developing European future and promoting European integration in the Parliament of Georgia, one of the main direction of the activities of the Committee on European Integration is awareness-raising and educational activities.

In cooperation with the partner organizations, the Committee has been celebrating European Week for many years, aiming to inform the citizens of Georgia about European integration and promote their involvement in this process.

Due to the spread of the Covid-19 and the state of emergency in the country, the Europe Days have been celebrated differently this year, and the information campaign has been conducted entirely online using digital technologies.

Within the frames of the campaign, various competitions were held for both the university students and school pupils, the online lectures were delivered for youth on the topic „6 years of association for Georgia“. Among others, the successful project „Competition for Youth under the aegis of the Parliamentary Committee on European Integration of Georgia and Ivane Javakhishvili Tbilisi State University” /European Union for Georgia 2“ should be highlighted which has been jointly implemented by the Committee on European Integration of the Parliament of Georgia and the TSU Institute for European Studies, and financially supported by the European Union through its EU for Georgia phase II initiative.

The purpose of the campaign has been to inform the youth, kindle their interest in European integration, and ensure their inclusion.

In our view, we have achieved the goal of the information campaign as the youth involvement was impressively broad. Within the frames of the contest, we have read many interesting works and identified winners.

The Committee on European Integration attaches great importance to the publicity and transparency of the Committee's activities. The door of the Committee is open for the public - students, experts, and other stakeholders.

It should be noted that within the frames of the information campaign a renewed Memorandum of Understanding has been signed with the TSU Institute for European Studies, aiming at active and mutually beneficial use of the legislative and advisory potential of the Committee and the TSU Institute for European Studies on the current issues of EU-Georgia relations. It is important that within the frames of the Memorandum the Committee will cooperate in order to upgrade the knowledge of the Bachelor, Master, and Ph.D. students with practical insight, will offer internships and collaborate with the researchers of the Institute and its academic staff on various projects.

მიღებას.

გვინდა, მივულოცოთ ევროპის დღე დასოცირების შეთანხმების ხელმოწერის 6 წლის იუბილე საინფორმაციო კამპანიაში ჩართულ ყველა მონაწილეს, და მადლობა გადავუხადოთ აქტიური მონაწილეობისთვის. კომიტეტი ხშირად ატარებს მსგავსდონისძიებებს და ცხადია, სამომავლოდაც დაგეგმილი გვაქვს არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობის ჩატარება.

We believe that the involvement of students and scholars in the work of the Committee will support the achievement of the goals and objectives of the Committee, promotion of the European integration process, and experience-gaining for students.

We would like to congratulate all the participants involved in the information campaign on the 6th anniversary of the signing of the Association Agreement, and to thank them for their active participation. The committee often holds similar events, and we also plan to implement numerous important activities in the future.

ევროკავშირის საკითხების სწავლების და კვლევის მნიშვნელობა საქართველოში

საქართველოში ევროკავშირის საკითხების სწავლება და კვლევა, უპირველეს ყოვლისა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპასთან დაახლოება და ინტეგრაცია, ასევე, ევროკავშირთან სტრატეგიული თანამშრომლობის დოქტრინა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე ჰქონდა გაცხადებული და ამ მიმართულებით ცალსახად ბევრი ეფექტური ნაბიჯი გადაიდგა, ე.წ. ახალი თაობის ასოცირების შეთანხმების გაფორმებამ ჩვენს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობები სრულიად ახალ საფეხურზე აიყვანა და ინტენსივობის თვალსაზრისით დაახლოების პროცესს ერთგვარი შეუქცევადობის იერსახე მისცა.

როგორც ვიცით, 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) კომპონენტს. იგი მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. თუმცა, ეკონომიკური ინტეგრაციის სიკეთეებით სარგებლობა და ევროკავშირის საერთო ბაზარზე წვდომა პირობადადებულია. კერძოდ, ასოცირების შეთანხმებით საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება ეტაპობრივად მოახდინოს საქართველოს საკანონმდებლო სივრცის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება, რაც ჩვენი მხრიდან მოცულობითი და საკმაოდ რთული სამუშაოს ჩატარებას გულისხმობს. უნდა გვესმოდეს, რომ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების სრულად იმპლემენტაციის შემდეგ საქართველო ფაქტობრივად ევროკავშირის სამართლებრივი სივრცის ნაწილი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაახლოების და იმპლემენტაციის მიმართულებით უკვე მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, რაც თეორიულად საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 446 მილიონი ევროპელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომსუნდა

The importance of promoting European Studies education and research in Georgia, a brief overview on the role of TSU



ნინო ლაპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიზაციაში რეგიონული სამაგისტრო პროგრამის ეროვნული ხელმძღვანელი. პროექტის კოორდინატორი, პროექტის ფარგლებში ლექციების ავტორი და ჟიურის წევრი.

Nino Lapiashvili – Director of the Institute for European Studies of Ivane Javakishvili Tbilisi State University. Head of the interdisciplinary Master's, Doctoral and Bachelor's Programmes in European Studies. National head of the Regional Master's Programme in Human Rights and Democratization. Project Coordinator, author of the online lectures within the frames of the project, member of the jury committee of the EU4Georgia funded student competition.

The European Studies related teaching and research in Georgia, I believe, should be understood foremost in the context of the Association Agreement concluded between Georgia and the EU. Although the idea of rapprochement and integration with Europe, as well as the doctrine of strategic cooperation with the European Union, was announced shortly after Georgia gained independence, and many effective steps have been taken in this direction, - the fact of the signature of the new generation Association Agreement upgraded our bilateral relations to a whole new level and in terms of intensity, it gave the process of rapprochement a kind of irreversibility.

The Association Agreement signed in Brussels on June 27, 2014 includes the component of Deep and Comprehensive

ხდიდეს, რეალურად, ჩვენი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო მეწარმეები მიღწეული შედეგების ეფექტურად გამოყენებას ჯერ ისევ ვერ ახერხებენ. ამას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესი ევროკავშირის ბაზარზე შეღწევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გამოწვევებსა და სირთულეებთან დაკავშირებით ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობაა.

ამდენად, ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ ევროკავშირთან დაახლოების პროცესი მრავალმრიანია და დიდი ინფორმაციული ნაკადის სისტემურ დამუშავებას ითვალისწინებს. ასოცირების შეთანხმების ბენეფიტების გამოყენება კი მოითხოვს ცოდნას და პრობლემების სწორ, მაღალპროფესიონალურ დონეზე გააზრებას. ევროკავშირის საკითხების შესახებ ფართო თუ სპეციალიზებული განათლების უზრუნველყოფა ჩვენი საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს და მიზანშეწონილია, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის იყოს.

თუმცა, მანამდე, სანამ ევროკავშირის საკითხების შესახებ განათლების თემა სახელმწიფოს პრიორიტეტებს შორის მოხვდება, ამაზე ევროკავშირმა უკვე თავად იზრუნა ასოცირების შეთანხმების გაფორმებამდე მინიმუმ 7 წლით ადრე მაინც. სწორედ, ამ კონტექსტში, ევროკავშირის კვლევისა და განათლების კერების თემას შევხებით.

თვითონ ევროპაში, ევროკავშირის საკითხების სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს და ის დაახლოებით იმდენივე წლისაა, რამდენისაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ეს გაერთიანება ითვლის.

თუმცა, აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონში უკვე 13 წელზე მეტია საქართველო, კერძოდ კი თსუ - ამ მიმართულებით უპირობოდ ლიდერობს, რაც ევროკავშირის არაერთ მოხსენებაშია ასახული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი 2007 წელს ევროკომისიის ფინანსური დახმარებით TACIS-ის პროგრამის ფარგლებში დაარსდა. იგი კონცეპტუალურად თსუ-ს ოთხ ფაკულტეტს ეფუძნება - იურიდიულ, ეკონომიკის, ჰუმანიტარულ, ასევე, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებს და ევროკავშირის ასწავლის და იკვლევს ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან - ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის (2007 წლიდან) და სადოქტორო (2014 წლიდან) პროგრამის ფარგლებში (Masters in European Studies და Doctoral Programme in European Studies). სამაგისტრო პროგრამის შექმნაში ჩართულები იყვნენ გრენობლის პიერ მენდესის საფრანგეთის უნივერსიტეტის, ასევე ათენის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბერძნული უნივერსიტეტისა და ავსტრიული ინსბრუკის საჯარო რეფორმების ცენტრისგან შემდგარი კონსორციუმის ექსპერტები. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნა როგორც აღნიშნულ სფეროში ევროპის მოწინავე უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილებები, ასევე ბოლონის პროცესის სტანდარტები და მიღწევები. ხოლო

Free Trade Area (DCFTA) and aims at political association as well as gradual economic integration with the EU. The benefits of economic integration and access to the EU single market are conditional. In particular, under the Association Agreement, Georgia has undertaken to gradually bring the Georgian legislative area closer to the EU legislation, which means extensive and rather complex work on our part. Georgian society must understand that after the full implementation of the obligations under the Agreement, our country actually becomes part of the legal space of the European Union.

Although Georgia has already made significant progress in the legislative approximation as well as its implementation, which in theory should make Georgian products available to 446 million European consumers, in reality, our business sector, especially small and medium-sized enterprises, are still unable to use these results effectively. There are many reasons for this, including the lack of knowledge and experience on the specific challenges and difficulties of entering the EU market, which is one of the main ones.

Even at first glance, it becomes clear that the process of rapprochement with the EU is multifaceted and involves the systematic processing of a large flow of information. Utilizing the benefits of the Association Agreement requires the specific knowledge and understanding of the problems at a correct, highly professional level.

Ensuring the targeted education on a wide range of EU issues is vital for our society and it is advisable for the state to set it among its priorities.

However, before the issue of education on the European Union becomes one of the priorities of the Georgian government, the EU has already taken care of this - at least 7 years before the signing of the Association Agreement. It is in this context that I will address the topic of the EU research and education in Georgia, in particular at TSU.

It's been for many years since the higher education institutions in the EU are offering European Studies as a field of study and research. While in the Eastern Partnership region already for more than 13 years it is

ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა 2014 წელს ENPI პროექტის ფარგლებში შეიქმნა დუბლინის თრინიტიის კოლეჯის, ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტისა და სლოვენის უნივერსიტეტის ექსპერტთა მონაწილეობით.

ევროკავშირის ძალისხმევამ, ინგლისურენოვანი პროგრამის სტრუქტურამ და შინაარსმა, მოწვეულ პროფესორთა პროფესიონალიზმმა, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის მაღალმა დონემ და მათი დასაქმების 100%-იანმა მაჩვენებელმა დიდად განსაზღვრა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის, როგორც საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარმატებულობის ხარისხი.

ინსტიტუტის მიერ მაგისტრატურის და დოქტორანტური სტუდენტებისთვის შესასწავლი საგნების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, მათ შორის, ევროკავშირის ეკონომიკა, ევროკავშირის ფინანსური და სავალუტო პოლიტიკა, ევროკავშირის სამართალი, კონკურენციის პოლიტიკა და კონკურენციის სამართალი, ევროპეიზაცია და ევროინტეგრაციის თეორიები, ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა, თავისუფალი ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვა. სტუდენტებს აქვთ საშუალება დეტალურად გაეცნონ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ასპექტებს უშუალოდ ამ პროცესში ჩართული პირებისგან, მიიღონ სათანადო ცოდნა ევროპის და ევროკავშირის ისტორიისა და ევროპის კულტურული მოზაიკის გარკვეული ასპექტების შესახებ.

ამასთან, სტუდენტებს უნიკალური საშუალება ეძლევათ დაესწრონ, მონაწილეობა მიიღონ და კითხვები დასვან საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების მონაწილეობით ჩატარებულ კონფერენციებზე, საჯარო ლექციებსა და სემინარებზე. ეს პრაქტიკა ინსტიტუტმა წარმატებით დანერგა და შესაძლებლობა გაუხსნა ბევრ ახალგაზრდას ამ პროცესში პრაქტიკულად ჩართულ პირებთან ერთად მიღებული თეორიული ცოდნის გაანალიზებისათვის.

აღსანიშნავია, რომ წელს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე კონრად ადენაუერის ფონდმა საუკეთესო შედეგების მქონე 5 ქართველი და 5 აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სამაგისტრო პროგრამის მომავალი სტუდენტისთვის სრული სტიპენდია დააწესა, რაც სწავლის საფასურს სრულად ანაზღაურებს, ასევე, ითვალისწინებს მგზავრობის/ფრენის და საცხოვრებელ ხარჯებს.

2015-2018 წლებში ევროკავშირის TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში ინსტიტუტში დაინერგა ინოვაციური სწავლისა და სწავლების მეთოდები, მათ შორის PBL, სიმულაციები, დისტანციური და შერეული სწავლება- ბრიტანეთის სურვის უნივერსიტეტის, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტისა და მასტრიხტის უნივერსიტეტის მონაწილეობით.

დღიდან დაარსებისა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტმა ევროპულ აკადემიურ წრეებში ბევრი სტრატეგიული პარტნიორი შეიძინა, რომელთან ერთად

Georgia, in particular the Tbilisi State University that is an undisputed leader –making accessible the curriculum on the European Union on all three levels of education.

Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University was established in 2007 with the financial assistance of the European Commission under the TACIS project. Conceptually, it is based on the four faculties of TSU - Faculty of Law, Business and Economics, Humanities, as well as Social and Political Sciences. It provides English taught Masters (since 2007) and Doctoral Programmes (since 2014) in European Studies from interdisciplinary perspective.

The experts involved in the inception of the Master's programme came from the University Pierre Mendés of Grenoble, Centre for Public Reforms of Innsbruck and Panteion University of Social and Political Sciences of Athens. Within the frames of ENPI project, the Institute hosted the academic staff and experts from the Trinity College Dublin, Central European University of Budapest and the University of Slovenia who contributed much in the elaboration of the Doctoral programme in 2014. Over and over again our programmes make us proud to have 100% of the graduates' employment rates. This is due to the professionalism of our academic and administrative staff, the constant inflow of international experts and definitely, the structure and content of the curriculum we offer.

The Institute offers a wide range of subjects for undergraduate and doctoral students, including EU Economic integration, EU Monetary and Fiscal Policy, EU Law, EU Competition Law, European Integration Theories, EU Energy Policy, Free Trade and Foreign Direct Investment, European History, European Cultural Mosaic and more. Students have the opportunity to get acquainted with the practical aspects of the EU-Georgia relationship directly from those public officials who are involved in the process. In addition, our students have a unique chance to participate in the public events including international conferences, public lectures and round-table meetings.

We are eager that the Konrad Adenauer Foundation selected us to allocate 10 full scholarships for our

ხორციელდება მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტები. ინსტიტუტი ასევე აგრძელებს ნაყოფიერ თანამშრომლობას საქართველოში ევროკავშირის წარმადგენლობასთან, საქართველოში აკრედიტირებულ უცხო ქვეყნების დიპლომატიურ მისიებთან და საქართველოს სახელისუფლებო თუ არასამთავრობო სექტორთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2011 წლის 1-ელ თებერვალს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც 2020 წლის 9 მაისს განახლდა და ახალი შინაარსი შეიძინა, რაზეც ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

საკანონმდებლო ჩარჩოსთან დაახლოების პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველო ყველაზე მეტად ევროკავშირის სამართლის სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის. ამიტომ 2021 წლიდან ვილნიუსის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით დაიწყო ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება, რომელიც ფარგლებშიც კურსდამთავრებულს თსუ კვლავაც მიანიჭებს ინტერდისციპლინური ევროპისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხს (Master of Arts in European Studies), ხოლო ვილნიუსის უნივერსიტეტი ევროკავშირის სამართლის მაგისტრის კვალიფიკაციას (LLM in EU Law).

წელს ჩვენ მიერ ინიცირებულმა ჟან მონეს პროექტმა შესარჩევ კონკურსში გაიმარჯვა და ევროკავშირის დაფინანსება მიიღო. ევროკომისიის ჟან მონეს პროექტები ორიენტირებულია ინოვაციის, განსხვავებული დარგების ურთიერთკვეთისა და ახალი ცოდნის შექმნის მეშვეობით ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მხარდაჭერაზე.

კერძოდ, ინოვაციაზე ორიენტირებული პროექტები ახალი მეთოდოლოგიებისა თუ მიდგომების შემუშავებას ისახავს მიზნად, რათა საგნები ევროკავშირის შესახებ უფრო მეტად მიმზიდველი და ადაპტირებული გახდეს განსხვავებული სამიზნე ჯგუფებისთვის.

ინტერდისციპლინური პროექტები ორიენტირებულია დისკუსიის წარმართვის მეშვეობით ევროკავშირში მიმდინარე პროცესების და ზოგადად ამ გაერთიანების შესახებ ცოდნის გააღრმავებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ.

ხოლო დისემინაციაზე მიმართული პროექტის ტიპი ფართო საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას მოიაზრებს და ამ მიზნით სხვა და სხვა ღონისძიების ორგანიზებას გულისხმობს.

ჟან მონეს პროექტის ფლობა ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის უპირველეს ყოვლისა არის პრესტიჟი და ამაღდროულად დიდი პასუხისმგებლობაც. ევროკავშირის მხრიდან ეს არის აღიარება და ნდობა, ერთგვარი გაცხადება იმისა, რომ შეგიძლია მიაღწიო წარმატებას აკადემიურ სფეროში, ხელი შეუწყო განათლების ხარისხის განვითარებას ევროპისმცოდნეობის სფეროში და ამგვარად უფრო მეტად დაუახლოვდე ევროპულ სივრცეს.

რაც შეეხება, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ჟან

prospective MA students applying from the Eastern Partnership region.

Herewith, it is to be underlined that technical-wise we met prepared the challenge of launching the distance teaching, which became an unavoidable necessity due to COVID-19 pandemic. In particular, during 2015-2018, within the framework of INOTLES, the EU TEMPUS project, we implemented the innovative teaching and learning pedagogic methods on Masters as well as Doctoral levels. With the help of the University of Surrey, the Free University of Brussels and the University of Maastricht we provided extensive trainings to our academic staff in the methods of effective exercise of the innovative pedagogic tools including Problem Based Learning (PBL), Simulations, Distance Teaching and the Blended Learning.

Since its inception, the TSU Institute for European Studies has acquired numerous strategic partners in European academic circles, with whom we carry out some important scientific and educational projects. The Institute likewise continues the fruitful cooperation with the EU Delegation to Georgia, the foreign diplomatic missions, the Georgian Governmental and the non-governmental sector. In this regard, the Memorandum of Cooperation signed with the Committee on European Integration of the Parliament of Georgia on February 1, 2011, (renewed on May 9, 2020) is especially noteworthy, which I will discuss in a more detailed manner below.

In the process of implementation of Association Agreement, it was revealed that we have a lack of EU law experts in Georgia. Taking into consideration this particular context, it is timely to announce that starting from the academic year of 2021-2022, we shall launch admissions for the Double Degree Masters programme (LLM) in EU Law in cooperation with the University of Vilnius.

We are proud to know that our application submitted to the Jean Monnet Information Project (Erasmus +) had been selected as a winner among 1447 eligible applicants. It will give us an outstanding opportunity to establish the interdisciplinary BA programme in European Studies at Tbilisi State University. We understand well that owning a

მონეს პროექტს, იგი მიზნად ისახავს უნივერსიტეტში ინტერდისციპლინური ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შექმნას. პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი კომპონენტებით. პროექტის განხორციელებაში ჩართულები იქნებიან ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების ექსპერტებიც, რომლებიც საბაკალავრო პროგრამის შემუშავების სხვა და სხვა ეტაპზე საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ქართველ კოლეგებს. საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებზე გამოკვეთილი საუკეთესო გამოცდილებები გამოქვეყნებული იქნება ინსტიტუტის ორენოვან სამეცნიერო ჟურნალში. წელს სულ 360 გამარჯვებული პროექტი შეირჩა 1447 კვალიფიცირებულ კონკურსანტს შორის.

ცალსახაა, რომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ინარჩუნებენ ლიდერის სტატუსს რეგიონის

მასშტაბით. თუმცა, რჩება პრობლემებიც. პირველ რიგში ეს არის საქართველოში კვლევების დაფინანსების სიმწირე სწავლების მესამე საფეხურზე, რაც არსებით პრობლემებს უქმნის დოქტორანტებს კვლევასწრაფად და ხარისხიანად წარმოონ. დოქტორანტების უმრავლესობა დასაქმებულია და დროის გადანაწილება უხდებიათ კვლევასა და სამსახურს შორის, დროში უსაზღვროდ განვრცობილი კვლევა კი ხშირად აქტუალობას კარგავს და მისი ეფექტი უმნიშვნელოა.

გარდა ამისა, გასულ წლებში ინსტიტუტი ახერხებდა სხვადასხვა პროექტის ფარგლებში სტუდენტების სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას ბრიუსელში ევროკავშირის ინსტიტუტებში, რაც ნებისმიერი კლასიკური ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურიკულუმის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თუმცა, რესურსების სიმწირის გამო აღნიშნული ძალიან იშვიათად ხორციელდებოდა და ევროპელი სტუდენტებისგან განსხვავებით, ხშირად ევროკავშირის დედაქალაქთან უშუალო შეხების გარეშე რჩებოდნენ ჩვენი კურსდამთავრებულები.

კოვიდ პანდემიის თემას გვერდს ვერ ავუვლით. ამ მოულოდნელმა გამოწვევამ განსხვავებული რეალობა შექმნა, ხოლო სასწავლო პროცესის ონლაინ სივრცეში გადატანამ ახალი შესაძლებლობებიც გააჩინა. თუ ადრე ონლაინ სწავლებას ქართული კანონმდებლობა და საგანმანათლებლო პოლიტიკა მხარს არ უჭერდა, ახლა ეს პერსპექტივა რეალური გახდა. ეს ნიშნავს მეტ ევროპელ ექსპერტს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე, შანსს, რომ ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილე თანამდებობის პირებს თბილისიდან ბრიუსელში ინტერნეტ-ხიდის მეშვეობით უფრო ხშირად მივაწვდინოთ ხმა.

Jean Monnet project is first and foremost a prestige and at the same time a great responsibility for any higher education institution. It is a recognition and trust on the part of the EU, a kind of declaration that we can promote excellence in academia, contribute further to the quality of education in the field of European studies and thus get closer to the European space.

Even though the Master's and Doctoral programs in European Studies at the TSU Institute for European Studies retain the leader status throughout the region, we face quite a lot of challenges as well. However, I would like to outline the nation-wide problem, which is the unavailability of the research funding in Georgia at the third level of education. This poses significant problems to the PhD candidates to accomplish their research in a timely manner. Most doctoral candidates are employed and have to share time between research and service, while the non time-bound research often loses the relevance and its effects are negligible.

Besides, during the past years, within the frames of several projects the Institute had been able to organize the study visits to Brussels, which form an integral part of the curricula of any classical European Studies programmes in the Western universities. However, due to the scarcity of financial resources, this was very rarely afforded and, unlike students from the EU, our graduates were often left without direct access to the EU institutions. In this context the COVID-19 pandemic is to be referred to again, due to this unexpected challenge created a different reality and offered new opportunities: it actually transferred the learning process to the online space in Georgia. If earlier the distance education was not supported by the Georgian legislation and the local educational policy, now this perspective has become an unavoidable reality. The Government was left with no option rather than its factual acceptance. Going online officially means greater number of experts from the EU in the Georgian educational space, as well as the chance to reach out to the EU policy-makers from Tbilisi to Brussels on a more frequent basis.

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის
ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტთან
ინსტიტუციური თანამშრომლობისა და პანდემიის დროს
ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდებზე
ორიენტირებული პროექტის შესახებ

რაც შეეხება პროექტს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან მემორანდუმი პირველად 2011 წელს გავაფორმეთ, - ჯერ კიდევ მაშინ, როცა ასოცირების შეთანხმებაზე მოლაპარაკებები ოფიციალურად იწყებოდა. იქედან მოყოლებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული ევროპულ სტანდარტებთან და პრინციპებთან დაახლოების მიზნით მთავრობის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების საპარლამენტო განხილვების დროს ექსპერტული დახმარების მეშვეობით კომიტეტის საქმიანობის გაძლიერების პროცესში. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მონაწილეობით ტარდებოდა კომიტეტის გაფართოებული სხდომები და კონფერენციები აღმასარულელებელი ხელისუფლებისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის კონკურენცია, სურსათის უვნებლობა და სურსათის უსაფრთხოება. საჯარო შეხვედრების ფორმატში თსუ-ს ხშირად სტუმრობდნენ ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის უცხოელი წევრები, რომელთა შეხვედრებს თსუ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეები წლების განმავლობაში აქტიურად უზრუნველყოფდნენ.

2020 წლის 9 მაისს ხელი მოეწერა განახლებულ მემორანდუმს, რითაც ინსტიტუციონალური თანამშრომლობის სამოქმედო არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მკვლევარები და აკადემიური პერსონალი კვლავაც განაგრძობენ კომიტეტის უზრუნველყოფას აკადემიური საექსპერტო დახმარებით (მაგალითად ამჟამადაც აქტიურად ვართ ჩართულები საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილი თემატური მოკვლევის ჯგუფში, რომელიც მუშაობს საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევებზე ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის ექსპორტისას), - აღსანიშნავია, რომ ამავდროულად გამოიკვეთა და წინა პლანზე წამოიწია კომიტეტის საქმიანობაში ევროპის მცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის

Institutional cooperation of TSU with the Committee
on European Integration of the Parliament of Georgia
and the significance of the youth oriented project
during the COVID-19 pandemic

The Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University signed a memorandum of understanding with the Committee on European Integration of the Parliament of Georgia in 2011, this was the period when the negotiations on the Association Agreement was to take its official start and the approximation with EU aquis was at stake.

Since then, the academic staff of the Institute has been actively involved in assisting the Committee in terms of expertise. The academic insight brought through this cooperation, where the IES staff was attending the meetings, deliberations and special conferences with the representatives of the government and NGO sector, played a positive role in crafting the initial state policy on competition and food safety. Later on, the collaboration was extended, for many years TSU was frequently hosting the members of the Parliamentary Association Committee in the format of meetings with students.

On Europe Day, May 9th of 2020, the existing memorandum had been upgraded. The newly signed text significantly expanded the scope of our institutional cooperation as well as integrated the Research Centre of the Parliament as a novel stakeholder. The document envisages that, while the researchers and academic staff of the TSU Institute for European Studies will continue to provide the Committee with the academic expertise (for example, at the moment IES is actively involved in the thematic inquiry aimed at identification of the challenges for the Georgian Small and Medium Size enterprises in export of goods to the EU), - it is noteworthy that the new memorandum also highlighted the importance of increasing the involvement of the students in the working process of the Committee, which is undoubtedly a timely step to ensure a proper and effective dissemination of the results of implementation of the Association Agreement.

The signature of the refreshed memorandum coincided with the unexpected outbreak of the new virus COVID-19, which affected the human conditions of almost everyone around the globe. We could not avoid this context when we got together in order to discuss the ways of operationalizing this new institutional framework. Hence, we immediately started to think that among the most vulnerable groups who need to adjust to new terms and circumstances of physical and social distancing are young people of all ages but especially teenagers at schools and the students who are restricted from active way of lifestyles. We started to share our opinions with each other related to this stage of the history which could have the long-term implications on their attitudes and become a formative period of their lives for the future; therefore, it could have been the right time to concentrate on values and life-choices. Because the increased anti-Western propaganda, sowing conspiracy theories and disinformation takes

სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობა, რაც უდაოდ დროული ნაბიჯია ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესის სწორად და ეფექტურად უზრუნველყოფისთვის.

განახლებული მემორანდუმის საფუძველზე და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პანდემიის მიუხედავად მაინც გამოვაცხადეთ ესეების სტუდენტური კონკურსი ევროპის კვირულისა და ასოცირების შეთანხმების ხელმოწერიდან ექვსი წლის იუბილის საზეიმოდ აღნიშვნის მიზნით. საკონკურსო პირობა საგანგებოდ შემუშავებული საინტერესო პრაქტიკული დავალების შესრულებასაც მოიცავდა. ცხადია, ყველა აქტივობა ვირტუალურ სივრცეში გადავიტანეთ.

